სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 24

ქ. წყალტუბო

25 თებერვალი 2021 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ წარმოდგენილი მისი მმართველის გიორგი იობიძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ქ. წყალტუბო ვაჟა- ფშაველას N1
საიდენტიფიკაციო კოდი: № 221281636
ტელეფონის ნომერი: 599 280 251
საბანკო რეკვიზიტები: ფინანსთა სამინისტორს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი:

და მეორე მხრივ, შპს ,,წყალტუბოს პროფილაქტიკური დეზინფექციის განყოფილება '' წარმოდგენილი მისი დირექტორის ზვიად ჩიხლაძის სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: ქ.წყალტუბო , 26 მაისის ქ. N26
საიდენტიფიკაციო კოდი: 2 2 1 2 9 2 8 0 2
ტელეფონის ნომერი: 599 557186
საბანკო რეკვიზიტები: სს, საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE38BG0000000498763165

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორ „მხარეები“,
(საფუძვლები დამოკიდებულია ტენდერის სახეზე) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 2015 წლის 17აგვისტოს N13 ბრძანების გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის ,,ა'' პუნქტის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში'' შემავალი 23 ს/ბ დერატიზაციის, დეზინფექციის და დეზინსექციის მომსახურეობის შესყიდვა (შემდგომში - მომსახურეობა).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: (90900000 - დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება) - მომსახურებები.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4960 (ოთხიათასცხრაასსამოც) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადა

1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.
2. მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. სამუშაოს შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურეობის მოწოდება მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ჯეროვნად, შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.
2. მომსახურეობა უნდა განხორციელდეს შემსყიდველთან შეთანხმებით, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე.

3, მომსახურეობა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეს და შემსყიდველის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში არა სამუშაო დღესაც.
4. მომსახურეობის განხორცილება გათვლილია თვეში ერთხელ. მაგრამ ქვეყანაში არსებული პანდემიის პირობებში შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში დამატებითაც, საჭიროებიდან გამომდინარე.
5. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პირობებისაგან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურეობა მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 6. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი შესრულებული მომსახურეობა მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
2. ხელშეკრულების ფარგლებში შესასყიდი მომსახურეობის შემოწმებას ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი თანამშრომელთა ჯგუფი.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1.მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მომსახურეობა მოგვაწოდოს ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრულ ვადაში.
ბ) მომსახურეობა უნდა განხორციელდეს შემსყიდველთან შეთანხმებით, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე.
გ) მომსახურეობა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეს და შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში არა სამუშაო დღესაც.
დ) მომსახურეობის განხორციელება გათვლილია თვეში ერთხელ, მაგრამ ქვეყანაში არსებული პანდემიის პირობებში შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში დამატებითაც, საჭიროებიდან გამომდინარე.
გ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად და ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული წესით გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა; დ) მომწოდებლის მიერ გამოყენებული სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბერს N 485 დადგენილების მე-6 მუხლს და რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლის დაკვემდებარებული სსიპ „ლ.საყვარელიძის სახელობის დავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრიბი ჯამრთელობის ეროვნულ ცენტრში“,
ე) თუ გაწეული მომსახურეობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ იქნება შედეგიანი, მომწოდებელი ვალდებულია განმეორებით განახორციელოს მომსახურეობა.
2. შემსყიდველი ვალდებულია, შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული მომსახურეობის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.
3. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი შესრულებული მომსახურეობა .

მუხლი 8. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, შესრულებული მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი თანამშრომელთა ჯგუფი .
2.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).
3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების **20%**-ის ოდენობით.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების დარჩენილი (მისაწოდებელი) საქონლის ღირებულების **10%**-ის ოდენობით.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ზ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

თ) ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი მომსახურეობა სრულად ან ნაწილობრივ გადასცა ქვეკონტრაქტორს შემსყიდველთან წერილობითი შეთანხმების გარეშე.

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები შესმყიდველთან წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 13. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - tskaltubosbagebi@gmail.com) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 14. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული

შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი - შემსყიდველთან და ერთი პირი - მიმწოდებელთან).

6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2022 წლის 1 მართის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

Giorgi Iobidze — Digitally signed by Giorgi Iobidze Date: 2021.02.25 17:11:55 +04'00'

Zviad Chikhladze — Digitally signed by Zviad Chikhladze Date: 2021.02.25 17:10:58 +04'00'

ტექნიკური დავალება						
N	საბავშვო ბაღების ჩამონათვალი	ერთ ჯერზე დასამუშავებელი ფართობი	პერიოდულობა (დესინფექცია , დესინსექცია ,დერატიზაცია)	სასმელი წყლის ავზების დესინფექცია	ჭების მდებარეობა	პერიოდულობა
1	N1 ს/ბ	1151		2 ტონა		
2	N2 ს /ბ	1200		2 ტონა		
3	N3 ს/ბ	1416				
4	N4 ს/ბ	366				
5	N5 გვიშტიპის ს/ბ	280		1 ტონა	არის	
6	N6 მაღლაკის ს/ბ	650		1,5 ტონა	არის	
7	N7 ფარცხანაყანების ს/ბ	706				
8	N8 კოპიტნარის ს/ბ	221				
9	N9 მესხეთის ს/ბ	334		1,5 ტონა	არის	
10	N10 მუხიანის ს/ბ	120		1 ტონა	არის	
11	N 11 გეგუთის ს/ბ	285		2 ტონა	არის	
12	N12 პატრიკეთის ს.ბ	191			არის	
13	N 13 ტყაჩირის ს/ბ	328			არის	
14	N 14 ოფშკვითის ს/ბ	647			არის	
15	N15 საყულიის ს/ბ	240		1,5 ტონა	არის	
16	N16 ახალი საყულიის ს/ბ	581			არის	
17	N17 გუბრინის ს/ბ	216		2 ტონა		
18	N 18 ოფურჩხეთის ს/ბ	128		2 ტონა	არის	
19	N19 რიონის ს/ბ	199		2 ტონა	არის	
20	N 20 ქვიტირის ს/ბ	691				
21	N 21 ხომულის ს/ბ	706		1,5 ტონა		
22	N 22 ცხუნკურის	200		2 ტონა	არის	
23	23 თერნალის ს/ბ	392		1 ტონა		

			თვეში ერთხელ(შემსყიდველი მოთხოვნის შემთხვევაში დამატებითაც)			6 თვეში ერთხელ (შემსყიდველის მოთხოვნის შემთხევაში დამატებითაც)